Sun Petroleum Georgia LLC
Official Distributor of Gulf Oil International in Georgia
34 Chavchavadze Ave. Tbilisi 0179, Georgia
Tel: +995 322 49 64 44 Fax: +995 322 49 64 40

სან პეტროლიუმ ჯორჯია
გალფ ოილ ინტერნეშენალის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
ჭავჭავაძის გამზ. 34, თბილისი 0179, საქართველო
ტელ: +995 322 49 64 44 ფაქსი: +99 322 49 64 40

№ 3/465
03.06.22

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ თეიმურაზ მთივლიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია" გეგმავს ქ. თბილისში, წყალსადენის ქუჩა N11-ში არსებული 12400 m^3 ტევადობის (144000 ტ. წლიური ტვირთბრუნვით) ნავთობბაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

კომპანიას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, აღნიშნულ საქმიანობაზე უკვე წარმოდგენილი ჰქონდა სკრინინგის განაცხადი (N8171; 06.04.2022), რაზეც განაცხადის რეგისტრაციიდან 19 სამუშაო დღეში კომპანიამ მიიღო სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ხარვეზის წერილი N21/1664 (13.05.2022). კომპანიამ ხარვეზის წერილის შესაბამისად უზრუნველყო დოკუმენტის დაკორექტირება. თუმცა, ამავე ხარვეზის წერილით დასმულ ორ საკითხთან დაკავშირებით გაწვდით დამატებით ინფორმაციას, კერძოდ:

- **„დოკუმენტის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე განხორციელებული ცვლილებების ფარგლებში, მოეწყო რეზერვუარების გაგრილების სისტემა, თუმცა, აღნიშნული სისტემის შესახებ ინფორმაცია გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებას"** - კომპანიის მიერ წარმოდგენილ სკრინინგის დოკუმენტაციაში მოცემული იყო სრულყოფილი საპროექტო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც 2017 წელს, ნავთობბაზის ტრიტორიაზე განხორციელდა გაგრილების სისტემის მონტაჟი. კომპანიისთვის გაურკვეველია, გაგრილების სისტემის თაობაზე, რა სახის ინფორმაცია იყო გაუგებარი და რის დაზუსტებას ითხოვს სააგენტო. საგულისხმოა, რომ სკრინინგში უკვე წარმოდგენილ ინფორმაციაზე დამატებით ახალი ინფორმაციის წარმოდგენა ვერ მოხდება, რადგან სკრინინგის დოკუმენტაციაში უკვე წარმოდგენილია ყველანაირი არსებული ინფორმაცია გაგრილების სისტემის თაობაზე;

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
"06" 06 2022
№ 2103

- **ერთ-ერთი შენიშვნის თანახმად, მექანიკური გამწმენდი ნაგებობა სკრინინგის დოკუმენტაციაში რიგ შემთხვევაში მოხსენიებულია როგორც სეპარატორი, ხოლო რიგ შემთხვევაში - როგორც ნავთობშემკრები. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ინფრასტრუქტურის სახელწოდება.** გაცნობებთ, რომ კომპანიის მიერ მიმდინარე წლის 6 აპრილს, N8171 განცხადებით წარმოდგენილ სკრინინგის დოკუმენტაციაში საერთოდ არ იძებნება სიტყვა „სეპარატორი". ამასთან, სიტყვა „ნავთობშემკრები" ნახსენებია მხოლოდ ერთხელ, ნავთობბაზიდან 141 მეტრში არსებულ სარკინიგზო ჩიხთან მიმართებით, რომელსაც კავშირი არ აქვს ნავთობბაზის ტერიტორიაზე განთავსებულ მექანიკურ გამწმენდ ნაგებობასთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემული შენიშვნის გათვალისწინება სკრინინგის დოკუმენტაციაში ფიზიკურად ვერ მოხდა.

წარმოგიდგენთ განახლებულ სკრინინგის განცხადებას. გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

შპს „სან პტროლიუმ ჯორჯიას" დირექტორი

ქრეიგ სთივენ ქრამერი